

## ორი კუნძული შავ ზღვაში

*იდეა ერიკ ვერსტფალის*

მოქმედი პირები:

ბიჭი

გოგო

ანგელოზი

ფერშალი

სცენა წარმოადგენს ზღვას ორი პატარა კუნძულით. მარცხენა კუნძულზე თვალუბრადასუქი ბიჭი წევს, მარჯვენაზე კი – გოგონა. გოგონა ნელა, ზღაზვნით წარმოდგება და ჰორიზონტს გახედავს. მეზობელ კუნძულზე ბიჭს აღმოაჩენს და მას მიმართავს:

გოგო – უკაცრავად ... დიდი ბოდიში ... გაიღვიძეთ თუ შეიძლება ... მკვდარი ხომ არ ხართ ... გაიღვიძეთ რა ...

ბიჭი – ვინ მეძახის?

გოგო – მე გეძახით, აქეთ გამოიხედეთ, აქ ვარ ... რა ბედნიერებაა, რომ ცოცხალი ყოფილხართ ... აქეთ გამოიხედეთ.

ბიჭი – საით?

გოგო – აქეთ

ბიჭი – მე თქვენ ვერ ვხედავთ ... საერთოდ ვერაფერს ვხედავ.

გოგო – ვერაფერს ხედავთ? ამ მზეს და ქვიშასაც ვერ ხედავთ? ან ზღავს ან მე?

ბიჭი – მე ვერაფერს ვხედავ.

გოგო – თქვენ ბრმა ყოფილხართ.

ბიჭი – ალბათ, გემი აფეთქდა და მაშინ დავბრმავდი

გოგო – გემი აფეთქდა?

ბიჭი – აფეთქების ხმა არ გაგიგიათ შეიძლება მართლაც ვერ გავიგეთ, თავიდანვე ისეთი საშუნელი ხმა იყო – ყველანი მაშინვე ავყვირდით, როგორც კი სირენის ხმა ჩაირთო. მე ამ დროს ქვემოთ ვიყავი და რაც ასეთ დროს მევალებოდა, ის გავაკეთე – ინსტრუქციის თანახმად საწვავის მოწოდება გადავკეციე და უცებ აფეთქების ხმაც გაისმა. ჯერ ვერაფერს მივხვდი, მერე კი დავბრმავდი და ვიღაცამ ზემოთ, გემბანზე ამიყვანა. მახსოვს, როგორ მესიამოვნა ზღვის ჰაერი, მახსოვს, როგორ ჩამსვეს მაშველ ნავში და მერე აღარაფერი მახსოვს, ალბათ გრძნობა დაგვარგე. როცა თვალი გავახილე, ვიღაცამ დამიძახა

...

გოგო – მე დაგიძახეთ

ბიჭი – თქვენ ვინ ხართ?

გოგო – მეც იმ გემზე ვიყავი, მაგრამ ყველაფერს ვხედავ.

ბიჭი – თქვენი ხმა შორიდან მესმის... შეგიძლიათ რომ ჩემთან ახლოს მოხვიდეთ და სულ ერთი წუთით ჩამკიდოთ ხელი ...

ბიჭი – რატომ? ისე დავსახინრდი, რომ ახლოს მოხვლასაც ვერ ბედავთ?

გოგო – მე ცურვა არ ვიცი

ბიჭი – ცურვა რა შუაშია

გოგო – ჩვენს შორის წყალია

ბიჭი – როგორ თუ წყალი?

გოგო – თქვენ ვერ ხედავთ, მაგრამ ჩვენ სხვადასხვა კუნძულებზე ვიმყოფებით

ბიჭი – არ მესმის, რას მეუბნებით, იქნებ კიდევ ერთხელ გამიმეოროთ და კარგად ამიხსნათ რაშია საქმე ...

გოგო- უკეთესად როგორ უნდა აგიხსნათ, ხომ ვითხარით, რომ აქ ორი პატარა კუნძულია, ერთზე თქვენ იმყოფებით, მეორეზე კი – მე. ჩვენს შორის წყალია, ირგვლივ კი ზღვა, მხოლოდ ზღვა და მეტი არაფერი ...

ბიჭი – მხოლოდ ზღვა და სხვა არაფერი?

გოგო – მხოლოდ ზღვა და სხვა არაფერი ზღვის გარდა

ბიჭი – რა უცნაურია ... და ჩვენ შორის დიდი მანძილია?

გოგო – როგორ თუ ჩვენს შორის?

ბიჭი – კუნძულებს შორის...

გოგო – ვერ გეტყვით... გეოგრაფიაში ყოველთვის ცუდი ნიშნები მყავდა ...

ბიჭი – გეოგრაფია რა შუაშია?

გოგო – გეომეტრიის სწავლაც მეზარებოდა

ბიჭი – გეომეტრიაც რა შუაშია

გოგო – არ ვიცი და ვერაფერს გეტყვით, ვერ გეტყვით, რა მანძილი სორებს ამ ორ კუნძულს

ბიჭი – დაახლოებით მაინც რომ ვიცოდე ...

გოგო – ალბათ ერთი კილომეტრ

ბიჭი – რას ამბობთ, ჩვენს შორის ერთი კილომეტრიც რომ იყოს, ერთმანეთის ხმას ვერც გავიგებდით, ალბათ ოცდაათი მეტრია, მეტი არა.

გოგო – კი ბატონო, იყოს ოცდაათი მეტრი, თუ თქვენ ასე გსურთ

ბიჭი – მე რა მსურს, ამაზე არ არის ლაპარაკი, მე მაინტერესებს რა მანძილია ჩვენს შორის და მინდა ვიცოდე, რატომ იგებენ გოგონები ნებისმიერ შეკითხვას არა ისე, როგორც მათ ეკითხებიან ...

გოგო – მგონი მეტი თავაზიანობა გმართებთ და იმდენს ნუ იზამთ, რომ არცერთ შეკითხვაზე პასუხი არ მიიღოთ

ბიჭი – უკაცრავად, მართლაც ზედმეტი მომივიდა ... დიდი ბოდიში თქვენ ჩოგბურთს თუ თამაშობთ?

გოგო – დიდს თუ პატარას?

ბიჭი – დიდს

გოგო – დიას ვთამაშობ

ბიჭი – პატარას?

გოგო – პატარასაც, თანაც საკმაოდ კარგად

ბიჭი- რომელს დიდს თუ პატარას?

გოგო – ორივეს

ბიჭი – ძალიან კარგი. ჩვენს კუნძულებს შორის მანძილი ჩოგბურთის მოედნის ხელაა თუ ჩოგბურთის მაგიდის?

გოგო – ჩვენს კუნძულებს შორის მანძილი ... (წამოდგება და აკეთებს მოძრაობას თითქოს ჩოგნით ბურთს არტყავს) ჩოგბურთის მოედნის ნახევარია

ბიჭი – მადლობა ღმერთს, ე.ი. სადღაც ათი მეტრია...

გოგო – ალბათ, მშვენიერია ... უკეთესი იქნებოდა ჩვენს შორის მანძილი ჭადრაკის დაფაზე გრძელი არ ყოფილიყო.

გოგო –ასანთის კოლოფზე რას იტყოდით

ბიჭი – კიდევ უფრო გამიხარდებოდა ... მე ხომ ცურვა არ ვიცი

გოგო – მეხუმრებით?

ბიჭი – მართლაც არ ვიცი

გოგო - არ მჯერა

ბიჭი – მართლაც არ ვიცი ცურვა

გოგო – ცურვა თუ არ იცით, გემზე სამუშაოდ როგორ მიგიღეს?

ბიჭი – მათთვის არ მითქვამს რომ ცურვა არ ვიცოდი

გოგო – რატომ არ უთხარით

ბიჭი – არც უკითხავთ

ბიჭი – დაავიწყდათ?

ბიჭი – შეიძლება არც დაავიწყდათ, მაგრამ ვერც წარმოიდგინეს, რომ ადამიანმა რომელსაც გემზე მუშაობს სურს, შეიძლება ცურვა არ იცოდეს ...

გოგო – ალბათ ძალიან გინდოდათ

ბიჭი – ცურვის სწავლა?

გოგო გემზე – მუშაობა

ბიჭი – ძალიან მინდოდა ... ბავშვობიდან. ცურვაზეც, როცა მიმიყვანეს, ძალიან პატარა ვიყავი, მაგრამ მაშინ ჩვენს ქალაქში მხოლოდ ერთი საცურაო აუზი იყო, მსურველები კი – ძალიან ბევრი და გარეთ, ეზოში გვაგარჯიშებდნენ. ვინც კარგად ივარჯიშებს, წყალში ჩაგუშვებთო, მაგრამ წყალში ადგილი აღარ იყო და ნაპირზე ცურვეს, როგორც არ უნდა მოინდომო, მაინც ვერ ისწავლი ... (ხელებით აკეთებს სავარჯიშო მოძრაობებს: ზემკლავი, განმკლავი)

გოგო – (აწყვეტინებს) მე გემზე გკითხეთ

ბიჭი – რომელ გემზე?

გოგო – გემზე რატომ გინდოდათ-მეთქი მუშაობა

ბიჭი – როგორ გითხრათ. იმედია რომ ახლაც სწორად გამიგებთ ... ზღვა ყოველთვის გვქონდა, მაგრამ გემები არ გვყავდა, მუდამ ზღვის პირას ვცხოვრობდით, მაგრამ ნაგებიც კი არ გამოგვითლია ...

გოგო – (აწყვეტინებს) რა ამბობთ, პირველად მესმის ასეთი უცნაური ვერსია

ბიჭი – ეს არ არის ჩემი ვერსია, ეს ჩვენი ქვეყნის ისტორიის და ეს ფაქტია – ჩვენ ყოველთვის გვქონდა ზღვა, ჩვენი წინაპრები კი არასოდეს იყენებდნენ მას ...

გოგო – (ისევ აწყვეტინებს) საერთოდ არ იყენებდნენ?

ბიჭი – ალბათ ზოგჯერ თევზაობდნენ, ზოგჯერ ყვინთაობდნენ კიდევ, მაგრამ საზღვაო ფლოტი არასოდეს გვქონია, ზღვაში არასოდეს შევსულვართ და ეს, ცვენი ზღვა არც კი შეგვისწავლია.

გოგო – რას გულისხმობთ, კარგად არ მესმის

ბიჭი – თუნდაც ამ ორ კუნძულს, რომელზეც ჩვენ აღმოვჩნდით და დარწმუნებული ვარ ეს კუნძული აღნიშნულიც არ არის არცერთ რუკაზე ... გაიხსენეთ თუნდაც სკოლაში, საკლასო ოთახის კედელზე ჩამოკიდებული ნებისმიერი რუკა, გაგონდებათ კი ეს ორი კუნძული?

გოგო – მე ხომ გითხარით, რომ გეოგრაფიას არც ისე კარგად ვსწავლობდი

ბიჭი – და არც გეომეტრიას

გოგო - ისიც გითხარით, რომ უცნობ გოგონასთან საუბრისას მეტი თავაზიანობა გმართებთ.

ბიჭი- მეც კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს, მაგრამ ვერ დაგეთანხმებით იმაში, რომ ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ.

გოგო - მე რომ თქვენ გხედავთ, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მე თქვენ ვიცნობთ.

ბიჭი - მე კი პირიქით, საერთოდ ვერ გხედავთ, მაგრამ ასე მგონია დიდი ხანია ვიცნობთ ...

გოგო - ცოტაც მოითმინეთ და აუცილებლად დამინახავთ ... მეც ... ამ ზღვასაც ... ყველაფერს

ბიჭი - თქვენ ასე ფიქრობთ თუ ასე გინდათ?

გოგო - ასე ხდება, როცა აფეთქებისაგან ბრმაველებიან, რამდენიმე საათით ან დიდი-დიდი რამდენიმე დღით ...

ბიჭი - და ასე უნდა ვისხდეთ რამდენიმე დღე მეზობელ კუნძულებზე და სასწაულს ველოდოთ?

გოგო - სასწაულები არც დაგვჭირდება, ყველაფერი კარგად იქნება... აი, ნახავთ

ბიჭი - ყველაფერზე არასოდეს მიოცნებია, თქვენი ნახვა კი მართლა ძალიან მინდა ... გემზე მაინც შემხვედროდით, იქ მაინც გაგვეცნო ერთმანეთი ...

გოგო - გემზე რომ ვიღაც კარგ ადამიანს აუცილებლად შევხვდებოდი, პირველად მაშინ გავიფიქრე, როცა მამაჩემმა გემის ბილეთები მაჩვენა - ეს იყო ნამდვილი სიურპრიზი ჩემთვის და სიხარულისგან იმ დამეს არც დამიძინია. ალბათ ასეც იქნებოდა, ალბათ თქვენც შევხვდებოდით იმ გემზე, რომ არა ის საშინელი აფეთქება...

ბიჭი - აფეთქების დროს სად იყავით?

გოგო - აფეთქების დროს რესტორანში ვისხედით და ვსადილობდით, უფრო სწორად ვაპირებდით სადილის შეკვეთას. მამაჩემმა სათვალე გაიკეთა, მენიუ გადაშალა და მკითხა: „ რას შეუკვეთავ ჩემო ლამაზო?“

ბიჭი - (აწყვეტინებს) ნებისმიერი მამისათვის ნებისმიერი შვილი ალბათ ლამაზია

გოგო - მე ხომ გთხოვეთ...

ბიჭი - ბოდიში რომ შეგაწყვეტინეთ ... გააგრძელებთ თუ შეიძლება

გოგო - სად შევჩერდით?

ბიჭი - მამათქვენმა რომ გკითხათ რას შეუკვეთავთო

გოგო - მე ვუპასუხე „არ ვიცი“ და ალბათ ვერასოდეს გაგიგებ რის მირთმევას ვაპირებდი იმ დღეს სადილად, რადგან სწორე დიმ წამს, როცა მენიუ გადავშალე, ის საშინელებაც დაიწყო - ყველანი ისეთი კივილით გარბოდნენ სადღაც რომ თავიდან პანიკა მეც გადმომედო, მაგრამ მერე გამახსენდა, რომ პირველ დღეს, როცა გემის ინსტრუქცია წავგიკითხეს ავარიული შემთხვევებისთვის, უნდა გავეტყუულიყავი მეცხრამეტე მაშველი ნავისაკენ. ნომერი ცხრამეტი კარგად დამამახსოვრდა და ასეც მოვიქეცი. მამაჩემი კი რატომღაც ოცდამეექვსე ნავზე აღმოჩნდა... საწყალი მამა... საშინელი ქაოსი კი იყო, მაგრამ რომელიღაც ოფიცერი მაინც ახერხებდა ქალებისა და ბავშვების ორგანიზებულად ჩასხმას მაშველ ნავებში... მერე ჩვენი ნავი ასწიეს და წყალში ჩაუშვეს. იქ კი უარესი გველოდა - უმრავლესობას მაშინვე ზღვის ავადმყოფობა დაეწყო და ნავი ისე ქანაობდა, რომ ერთმანეთს ვეჭიდებოდით რომ ნავიდან არ გადავარდნილიყავით წყალში და ყველას გული ერეოდა. ჩვენი გემი უკვე აღარ ჩანდა, აღარ ჩანდა იმ აპოკალიფსის დასასრულიც...

ბიჭი - (აწყვეტინებს) აპო... რა?

გოგო - აპოკალიფსი. ეს ბიბლიიდან არის

ბიჭი - საიდან?

გოგო - ბიბლიიდან. ბიბლია რა არის, ალბათ იცით

ბიჭი - რა თქმა უნდა

გოგო - აპოკალიფსი არის წიგნი სამყაროს აღსასრულის შესახებ. თქვენ გნებათ რომ ესეც აგიხსნათ?

ბიჭი - მე მირჩენია, რომ მაშველი ნავის ამბავი დაასრულოთ

გოგო - კი ბატონო, მაგრამ მეჩვენება, თქვენ ვერ მიხვდით რა კავშირი აქვს აპოკალიფსს ჩვენი ნავის ტრაგედიასთან...

ბიჭი - რასაკვირველია მივხვდი... თითქოს მეც იმ ნავში ვიჯექი, მაგრამ იმ ისტორიის ბოლო არ ვიცი

გოგო - ბოლოს ჩვენი ნავი გადატრიალდა, ყველანი წყალში აღმოვჩნდით და განწირულ ადამიანთა ვედრების ხმა, ღმერთს რომ შეველას თხოვდნენ, არასოდეს დამავიწყდება. მე არ ჩავიძირე მხოლოდ იმის გამო, რომ მაშველი ჟილეტი მეკეთა და მიუხედავად დიდი ტალღებისა, მაინც გადავრჩი ზღვის ღელვამ ერთმანეთს დაგვაშორა და დამის სიბნელეში რამდენ ხანს მატარა წყლის ღინებამ, ახლაც არ ვიცი. ერთადერთი, რაზედაც ვფიქრობდი, მამაჩემი იყო...

ბიჭი - ზვიგენების არ გეშინოდათ, ზვიგენებზე არ ფიქრობდით?

გოგო - არა. მე არ შემიძლია ერთდროულად ორ რამეზე ვიფიქრო...

ბიჭი - თქვენ უბრალოდ გავიმართლათ რომ ზვიგენებმა არ შეგჩამეს

გოგო - რომ წარმოვიდგინე, რას გადავურჩი, ახლა შეგეშინდა, რეტროსპექტივაში შიშისაგან ურუანტელმაც კი დამიარა.

ბიჭი - წელან აპოკალიფსი, ახლა რეტროსპექტივა...

გოგო - იქნებ ფიქრობთ, რომ ასეთი სიტყვა არ იხმარება ჩვენს ენაში რადგან თქვენ არ გაგახსენდათ მისი მნიშვნელობა?

ბიჭი - არა. მე სხვა რამეზე ვფიქრობ - მე გამახსენდა, რომ ამ ზღვაში ზვიგენები საერთოდ არ არიან და თქვენ ტყუილად შეგეშინდათ რეტროსპექტივაში და ეს სიტყვაც ტყუილად გამოიყენეთ...

გოგო - სიტყმებს ტყუილად არ ვხმარობ, მე ასე ვარ აღზრდილი. მამაჩემს გაგიუებით უყვარს სიტყვების ზუსტი და სწორი გამოყენება, ალბათ უპირველესად იმიტომ რომ მამა მწერალია და ეს, დამეთანხმებით იმდენად პედანტიზმი არ არის, რამდენადაც ერთგვარი თამაში - მოძებნო სწორედ ის სიტყვა, რომელიც ზუსტად გამოხატავს შენს სათქმელს. თქვენ ნამდვილად იცით, რა განსხვავებაა მაგალიტად ორ სიტყვას „ყინვასა“ და „სუსსს“ შორის? ან ვთქვათ „ცისკარსა“ და განთიადს“ შორის? მამა ხშირად ამბობს: „ჩვენ გვაქვს ულამაზესი ენა, მაგრამ ამ სილამაზეს ძალიან ცოტანი ხედავენ და გრძნობენ“ ... საწყალი მამა! ნეტავ სად არის ახლა?

ბიჭი - ალბათ სადმე ზღვის ფსკერზეა და ფიქრობს, თუ რომელი სიტყვა შეესაბამება უფრო ზუსტად მის მდგომარეობას: „ფსკერზე ვწევარ“ თუ „ფსკერზე ვგდივარ“...

გოგო - საიდან ამდენი ცინიზმი და სისასტიკე?!

ბიჭი - მაპატიეთ, მაგრამ მე მეჩვენება, რომ საუბარი მამათქვენის ლინგვისტური მიდრეკილებების შესახებ უფრო ცინიკური და სასტიკია ვიდრე ჩემი უწყინარი ხუმრობა თუ იმას გავიხსენებთ, სად ვიმყოფებით და რა მდგომარეობაში - მე ორივე თვალთ დაგვბრმავდი, მშია და მწყურია...

გოგო - (აწყვეტინებს) მეც მშია და მწყურია, მაგრამ მაინც მშვიდად ვარ, რადგან გული მიგრძნობს, რომ რარაც შეიცვლება, რარაც მოხდება, ვიღაც მოვა და გადაგვარცენს. წიგნებშიც ასე ხდება ხოლმე - ჰორიზონტზე გემი გამოჩნდება მხსნელად ან ცაში ვერტმფრენი.... ან ზღვის ფერია მოგვაკითხავს და თავის ჯადოსნურ სამყაროში მიგვიპატიუებს, სადაც უგემრიელესი კერძებით გაგვიმასპინძლებიან, რომელთაც დიდი, სადაფის ნიჟარებით მოგვართმევენ და ჩვენ ვიქნებით პირველი ადამიანები იმ ზღაპრულ სამოთხეში, რომელიც ჯერ არავის უნახავს...

ბიჭი - მივაგენი ყველაზე ზუსტ სიტყვას - ის გონება შეზღუდულია.

გოგო - იმედია თქვენი შეზღუდული ლექსიკონი არ ასახავს თქვენს გონებრივ მდგომარეობას და ადვილად დაიჯერებთ, რომ ჩვენს დროში გემის დაღუპვას უტუოდ მიაქცევენ ყურადღებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ადრე თუ გვიან ჩვენ ძებნას დაგვიწყებენ, ადრე თუ გვიან ჩვენ მოგვაგნებენ და ჟურნალისტებიც კარგა ხანს თავს არ დაგვანებებენ.

ბიჭი - უკვე გამოჩნდნენ?

გოგო - ვინ?

ბიჭი - ჟურნალისტები

გოგო - ჟურნალისტები არა

ბიჭი - გემები და ვერტმფრენები?

გოგო - ჯერ არა

ბიჭი - უნდა დაველოდოთ?

გოგო - უნდა დაველოდოთ და მოთმინება ვიქონიოთ, მე მჯერა, რომ აუცილებლად გადაგვარჩენენ, აი ნახავთ ...

ბიჭი - მეც მინდა მჯეროდეს, რომ ვნახავ...

გოგო - აი ნახავთ, მხედველობად დაგიბრუნდებათ და ყველაფერი კარგად იქნება ... მომიყვით გემზე როგორ მოხვდით

ბიჭი - ხომ გითხარით უკვე რომ საძღვაო-სანაოსნოში ვსწავლობდი  
გოგო - მე არც ვიცოდი, რომ გემზე სამუშაოდ მოწყობას რამე განათლება  
სჭირდება  
ბიჭი - ადრე მეც ეგრე მეგონა, მაგრამ მერე ამისხნეს რომ ერთადერთი, რასაც  
განათლება არ სჭირდება, დეპუტატობაა, მაგრამ დეპუტატობა მე არ მინდოდა,  
მე მინდოდა გემზე მემუშავა ...  
გოგო - მესმის თქვენი ... დღისით ძილი არც მე მიყვარს  
ბიჭი - მე მინდოდა მეზღვაური გაემხდარიყავი, მინდოდა შორეული ქვეყნები  
მენახა ... ჩვენ ხომ მოგზაურებიც არ გვეყოლია, თითქმის არ გვეყოლია ... მაგრამ  
მეზღვაური რომ გახდე, ჯერ უნდა ისწავლო, ჯერ კარგად უნდა შეისწავლო  
გემი... გემის შესწავლის საუკეთესო საშუალება კი გემზე მუშაობაა ...  
გოგო - მაგრამ გემზე დასვენებაც კარგია: მზე, სეირნობა, თამაში, აუზი,  
საღამოს სადილები, მუსიკა ...  
ბიჭი - როცა სხვები შრომობენ?  
გოგო - კლასობრივი ბრძოლის თეორია?  
ბიჭი - არა მხოლოდ თეორია, არამედ რეალობაც: იმ გემზე თქვენ ისვენებდით,  
მე კი ვმუშაობდი...  
გოგო - იმ გემზე რომ დაისვენო ძალიან ბევრი უნდა იშრომო ... ზოგი გემზე  
მუშაობს და ხმელეთზე ისვენებს, ზოგი კი პირიქით- ხმელეთზე შრომობს და  
გემზე ისვენებს ... სამყარო ასეა მოწყობილი და თქვენ ამაოდ ცდილობთ მის  
შეცვლას  
ბიჭი - მე ვცდილობ მივხვდე გემის დაღუპვის ნამდვილ მიზეზს, თქვენ რას  
ფიქრობთ?  
გოგო - იქნებ აისბერგი დაგვეჯახა, როგორც მაშინ „ტიტანიკს“?  
ბიჭი - ამ ზღვაში აისბერგს რა უნდა?  
გოგო - არ ვიცი ... დამავიწყდა მეთქვა , რომ ნავიგაციის საკითხებში ცუდად  
ვერკვევი, მაგრამ მე მომეჩვენა, რომ რაღაც აშკარად დაგვეჯახა, რაღაც დიდი...  
ბიჭი - ვეშაპი? (დაცინვით).  
გოგო - უკაცრავად ... მაგრამ ნუღარ იფიქრებთ ჩაძირულ გემზე, მაღლობა  
თქვით, რომ გადარჩით, თანაც მარტო არა ხართ და ამ მხრივაც გაგიმართლათ...  
ბიჭი -მინდა ვიცოდე რამდენად მიღირს ეს გამართლება  
გოგო - რას გულისხმობთ?  
ბიჭი - შავგვრემანი ხართ?  
გოგო - არა...  
ბიჭი - თვალები?  
გოგო - მწვანე  
ბიჭი - ლამაზი?  
გოგო - ძალიან  
ბიჭი- ფეხები?  
გოგო - ძალიან  
ბიჭი - ძალიან რა  
გოგო - კარგი  
ბიჭი - მკერდი?  
გოგო - მკერდი რა?  
ბიჭი - როგორი მკერდი გაქვთ?  
გოგო - ნამდვილი  
ბიჭი - ნეტვ ახლა თქვენი დანახვა შემეძლოს  
გოგო - გულწრფელად გითანაგრძნობთ, მართლაც ბევრს კარგავთ, მაგრამ  
ყველაფერი კარგად იქნება... უკეთესობას ალბათ უკვე გრძნობთ  
ბიჭი - არა ჯერჯერობით ისევ მტკივა თვალები და გახელაც მიჭირს  
გოგო - ნურც გაახელთ, ხომ ხედავთ როგორი მზეა

ბიჭი - ვერ ვხედავ, მაგრამ ისე მცხელა, სიამოვნებით ჩავსტებოდი წყალში და გაგრილდებოდი

გოგო - არავითარ შემთხვევაში. გაგრილება მხოლოდ დროებითი სიამოვნების მომტანი იქნება თქვენთვის, მაგრამ შემდეგ წყურვილი საშინლად გაგტანჯავთ და გაგაწამებთ

ბიჭი - თქვენ ეს საიდან იცით?

გოგო - უპირველესად წიგნებიდან და გარდა ამისა, როცა ცნობილი მოგზაური ტურ ჰეიერდალი ჩვენს ქვეყანას სტუმრად ეწვია, მამაჩემი პირადად შეხვდა მას...

ბიჭი - ტურ ჰეიერდალი გამოსავლასაც ადვილად მოძებნიდა ასეთ მდგიმარეობაში

გოგო - თუ მაშველი გემიც დროულად გამოჩნდებოდა...

ბიჭი - არაფერი ჩანს?

გოგო - არაფერი ჰორიზონტზე და მხოლოდ ზღვა ირგვლივ

ბიჭი - დიდებია?

გოგო - რა?

ბიჭი - ჩვენი კუნძულები

გოგო - თქვენი კუნძული ფეხბურთის მოედნის ნახევარია, ჩემი კი - კალათბურთის

ბიჭი - თქვენ სერიოზული წარმატებები გაქვთ

გოგო - გმადლობთ

ბიჭი - იქნებ ჩემამდე გადმოცურვაც გეცადათ

გოგო - შუა გზაში შემემშინდება და დავისრჩობი, შეიძლება ისე ჩავიძირო რომ ხის კუბოც აღარ გამომადგეს...

ბიჭი - არ არის ხე?

გოგო - სად?

ბიჭი - ჩემს კუნძულზე ხეები დგას?

გოგო - არა

ბიჭი - ბალახს კი თითებით ვგრძნობ, ესე იგი აქ წყალიც უნდა იყოს

გოგო - თქვენ უკან, სულ რამოდენიმე ნაბიჯზე საკმაოდ დიდი ქვაა და წყაროს თუ არა, წვიმის წყალს მაინც მიაგნებთ (ბიჭი ბრუნდება და ქვის ძეხნას იწყებს)

... მე ასე აღმოვაჩინე ჩემს კუნძულზე წყალი და უკვე დავლიე კიდევ ... ცოტა მარცხნივ ... ახლა მარჯვნივ ... კიდევ ორი ნაბიჯი და წყურვილსაც მოიკლავთ ...

ბიჭი - მივაგენი ... ასეთი გემრიელი წყალი რამდენი ხანია არ დამიღვია ... პირიც დავიბანე ... მაგრამ დაღლილობაც ვიგრძენი ... თუ თქვენ წინააღმდეგი არ იქნებით ცოტა ხანს დავიძინებ და ბიდიშს მოგიხდით, რომ ცოტა ხანს უნდა შევწვიტო თქვენთან დიალოგი ...

გოგო - საბოდიშო არაფერია. თქვენ გაქვთ ძილისა და დასვენების უფლება...

ბიჭი - უცვებ რომ რამე გემი გამოჩნდეს ...

გოგო - რა თქმა უნდა გაგაღვიძებთ

ბიჭი - მაშინ დროებით

(ბიჭი მოხერხებულად წვება და იძინებს. გოგო კი რამდენიმე სავარჯიშოს აკეთებს და ღრმად ამოისუნთებს. ზღვის ხმა მატულობს და სცენაზე მოულოდნელად მამაკაცი გამოჩნდება, რომელიც პირდაპირ წყალზე მოდის და კუნძულს ათვალებს. მამაკაცს ხელში კალათა უჭირავს)...

მამაკაცი - გაუმარჯოს

გოგო - (შეშინებული) გამარჯობათ ... ბოდიში მაგრამ ვინ ბრძანდებით?

მამაკაცი - ნუ შეგეშინდებათ ... მე აქ მხოლოდ ენძელებს ვეძებ

გოგო - აქ ენძელებს რა უნდა ... თან ამ დროს

მამაკაცი - აი, სწორედ თქვენს ფეხებთან, ნახეთ რამდენი ენძელაა

გოგო - (გაკვირვებული) რა ლამაზების, როგორ ვერ შევამჩნიე აქამდე

მამაკაცი - ზოგჯერ ასეც ხდება ...

გოგო - თქვენ პირდაპირ ზღვაზე მოდიოდით, წყალზე სიარული პირველად ვნახე ...

მამაკაცი - ადვილია

გოგო - როგორ?

მამაკაცი - უბრალოდ, უნდა დაიჯეროთ, რომ შეგიძლიათ და წყალზეც გაივლით

გოგო - თქვენ ამბობთ, რომ მეც შემიძლია წყალზე სიარული?

მამაკაცი - მთავარი რწმენაა, თუ გჯერათ, გაივლით კიდევ

გოგო - ხუმრობთ?

მამაკაცი - არ ვხუმრობ, მართლა ადვილია ... აი სცადეთ (მამაკაცი როგორც შემოდის, ასევე გადის სცენიდან და გოგონას ხელის აწევით ემშვიდობება.

გოგონა გაოგნებული დგას და როცა მამაკაცი სცენიდან გაქრება, გოგოს ხმამაღლა გაეცინება)

ბიჭი- (გაიღვიძებს და წამოხტება) გემია?

გოგო - არა, არა

ბიჭი - აბა, რა გიხარიათ?

გოგო - მგონი სიზმარი ვნახე

ბიჭი - კარგი?

გოგო - დიახ, კარგი სიზმარი

ბიჭი - თქვენმა ხარხარმა გამაღვიძა

გოგო ბოდიშს გიხდით

ბიჭი - რადგან გამაღვიძეთ, სიზმარიც უნდა მომიყვეთ, ასეთი სასაცილო იყო?

გოგო - თავიდან არც გამეცინებია, დამესიზმრა, რომ ვიღაც კაცი პირდაპირ ტალღებზე დადიოდა

ბიჭი - როგორ?

გოგო - ჩვეულებრივად. ადამიანმა წყალზე გაიარა და მე ეს დავინახე

ბიჭი- ვიცი რაც არის

გოგო - რა არის?

ბიჭი - მზის დარტყმა ... ასე ეძახიან

გოგო - ნუ დამცინით... ის კაცი ენძელებს ეძებდა

ბიჭი - სწორედ გამოცივანი ჰელიოსი

გოგო - რა?

ბიჭი - მზის დარტყმა

გოგო - მაინც არ გჯერათ ...

(გოგო აღეგება, რამდენიმე წამი თავდახრილი ფიქრობს, მერე ღრმად ჩაისუნთქავს და სწრაფი ნაბიჯით, თითქმის სირბილით გაივლის წყალზე კუნძულებს შორის და ბიჭს ზურგიდან მოხვევს ხელებს).

ბიჭი - (ბიჭი შეშინებული) ვინ არის ... რა არის... ალბათ რვაფეხაა

გოგო - ნუ გეშინიათ... ეს მე ვარ

ბიჭი - ამ კუნძულზე გადმოხვედით?

გოგო - დიახ

ბიჭი- როგორ?

გოგო - ფეხით

ბიჭი - თქვენს ხუმრობაზე აღარ მეშინია

გოგო - მე არც ვხუმრობ

ბიჭი - ადამიანები წყალზე ფეხით არ დადიან. ეს შეუძლებელია!

გოგო - ეს შესაძლებელია, თუ ადამიანებს რწმენა აქვთ

ბიჭი - იმ კაცმა ასე გითხრათ? თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია რომ თქვენ აქ ხართ, ჩემს გვერდით

გოგო - დიახ, სწორედ ასე მითხრა და თქვენ ტყუილად გეცინებათ: აი, ნახეთ, ხელი მომიკიდეთ, არც დავსველებულვარ ... ტანი მთლიანად მშრალი მაქვს

ბიჭი - (ხელებს უფათურებს) ტანი მართლაც კარგი გაქვთ

გოგო - ხომ დარწმუნდით, რომ არ ვხუმრობ

ბიჭი - არც მე ვხუმრობ, მე თქვენ შემოიყვარდით

გოგო - ასე უცებ?

ბიჭი - (ხელებს შემოხვევს) მე თქვენ მიყვარხართ

გოგო - ძალიან ჩქარობთ

ბიჭი - რა ბედნიერი ვიქნებოდი, ახლა რომ გხედავდეთ

გოგო - სულსწრაფულობა ჩვენი ეროვნული პრობლემაა

ბიჭი - თქვენ შესახებ მითხარით რამე

გოგო - ჩემს შესახებ რა უნდა გიამბოთ... არასოდეს მყვარებია და სიყვარულში პირადი გამოცდილება საერთოდ არა მაქვს

ბიჭი - მგონი ძალიან გამიმართლა ... ესე იგი ქალიშვილი ხართ?

გოგო - რას გულისხმობთ?

ბიჭი - ანუ ქალწული ხართ, ქალწულობა კი იშვიათობა გახდა ...

გოგო - ჩვენ სიყვარულზე ვსაუბრობთ და არა სექსზე

ბიჭი - მეც ამიტომ შემოიყვარდით, თქვენ ნამდვილი საოცრება ხართ და ალბათ ადვილად წარმოიდგენთ როგორ მინდა რომ ახლა გხედავდეთ...

გოგო - (გოგო ბიჭს სახეს მზისკენ მიუბრუნებს და მერე ხელებით მოუცრდილავს თვალებს) გრძნობთ განხვავებას?

ბიჭი - დიახ, ვგრძნობ

გოგო - ეს კარგის ნიშანია

ბიჭი - (ამოიოხრებს) იმედი მაქვს

გოგო - ძალიან კარგი

ბიჭი - იმედი მაქვს, რომ შანსები თიტქმის არა გვაქვთ, რომ აქედან გავაღწევთ

გოგო - (აწყვეტინებს) სისულელებს ნუ ლაპარაკობთ

ბიჭი - სიმართლეს თვალებში უნდა შეხედოთ: ცვენი გემი კარგა ხანია ჩაიძირა, მაშველები კი ჯერ არ ჩანან და ჩვენ აშკარა სიკვდილი გვემუქრება - შიმშილით ან წყურვილით. სიცხისაგან შეუძლება გავგიჟდეთ კიდევ, რაც საგსებით რეალურია და ერთადერთი, რაც მე შემოძლია თქვენთვის გავაკეთო, თუ ტქვენ წინააღმდეგი არ იქნებით, ემ ტქვენ დაგახრჩობთ მანამ, სანამ ტქვენ გაგიჟდებით და დამერწმუნეთ ამას გავაკეთებ მხოლოდ და მხოლოდ თქვენი სიყვარულის გამო ...

გოგო - მადლობთ, ნუ შეწუხდებით ... ჯერჯერობით გადარჩენის შანსები გვაქვს და რაღაცას აუცილებლად მოვიფიქრებთ, იქნებ გავგიმართლოს და თევზიც კი დავიჭიროთ, შევწვათ და მივირთმევთ ... მე მაინც ბოლომდე ვიბრძოლებ სიცოცხლისათვის ... სიკვდილის გეშინიათ?

ბიჭი - ცოტა

გოგო - არ უნდა გეშინოდეთ. ეპიკური ამბობდა: „არ გეშინოდეს სიკვდილის, რადგან ტქვენ მას ვერასოდეს შეხვდებიტ - როცა თქვენ ცოცხალი ხართ, სიკვდილი აქ არ არის, ხოლო როცა სიკვდილი აქ არის, მაშინ ტქვენ უკვე ცოცხალი აღარ ხართ“...

ბიჭი - ლამაზად ჟღერს, მაგრამ მე მაინც მეშინია, სიკვდილის კი არა, არამედ ტკივილის, ბილო ამოსუნთქვის, უკანასკნელი კადრის, რომელსაც სიკვდილის წინ დავინახავ. თუმცა არც ის ვიცი რას დავინახავ უკანასკნელად... როგორ მინდა რომ სიკვდილის წინ გიყურებდე შენ, ვხედავდე ზღვას და გხედავდე შენ..

გოგო - თუ ასე გააგრძელებ შეიძლება მეც შემოიყვარდეთ ...

ბიჭი - ჩვენ ძალიან ცოტა დრო დავგვრჩა და ალბათ ყველაზე ჭკვიანურიც იქნება რომ ეს დარჩენილი ცოტა დრო, სიყვარულს დავითმოდ ... მოდით ჩემთან

გოგო - აღარ გაიმეოროთ რომ ცოტა დრო დავგვრჩა... ჩვენ არ მოვკვდებით დ ამ კაცის იმედიც მაქვს, რომელიც დაბრუნდება, აუცილებლად დაბრუნდება და გადაგვარჩენს ...

უცნობი მამაკაცი - (მოილოდნელად ისევ ჩნდება სცენაზე) მე მეძახით?  
 გოგო - (შეცბუნებული) დიახ ... არა, უბრალოდ გახსენეთ... თქვენზე ვფიქრობდი  
 და ...  
 კაცი - (აწყვეტინებს) რას ფიქრობდით ჩემზე?  
 ბიჭი - ვინ არის აქ? ვინ ლაპარაკობს?  
 გოგო - ეს ის კაცია, მე რომ გეუბნებოდით  
 ბიჭი - ტქვენი ხუმრობები უკვე მომაბეზრებელია  
 გოგო - ის აქ არის, მართლა დაბრუნდა  
 ბიჭი - მე გთხოვეთ და თქვენც უნდა გესმოდეთ, რომ სახუმაროდ ნამდვილად არ  
 გვაქვს საქმე...  
 გოგო - (უცნობ მამაკაცს) ჩემს მეგობარს არ სჯერა, რომ თქვენი არსებობა  
 რეალობაა  
 მამაკაცი - თქვენი მეგობარი მართალია  
 ბიჭი - ხომ გეუბნებოდით!  
 გოგო - როგორ, მე თქვენ უკვე მეორეჯერ გხედავთ  
 მამაკაცი - მხედავთ, მაგრამ ჩემთვის ძნელია ამის ახსნა, მართლა ვარსებობს თუ  
 არა. არ ვიცი სწორად გამიგებთ თუ არა, მაგრამ მე ერთდროულად ვარსებობ  
 და თან არ ვარსებობ ...  
 ბიჭი - (გოგოს) ხომ გეუბნებოდით, ე სარის ჰალუცინაციური მოვლენა,  
 რომელიც ხშირად ხდება ზღვაზე, უდაბნოში და ა.შ.  
 გოგო - (ბიჭს) მაგრამ თქვენ ხომ ნამდვილად გესმით მისი ხმა?  
 ბიჭი - ხმა ნამდვილად მესმის ... იქნებ გვესიზმრება?  
 გოგო - თქვენ მისი ხმა გესმით, მე მას ვხედავ, შეუძლებელია ეს იყოს  
 სიზმარი...  
 მამაკაცი - გეთანხმებით  
 გოგო - (ხმა უთრთის) თუ გეთანხმებით, რატომ გვაწვალებთ, აგვისხენით რაშია  
 საქმე და გაგვაგებინეთ რა ხდება (ხმაში ტირილი შეეპარება )  
 მამაკაცი - ადამიანები მართლაც საოცარი არსებები არიან, მათ უნდათ, რომ  
 ყველაფერი იცოდნენ და ყველაფერს ხედავდნენ...  
 გოგო - (ტირის) მე გავგიჟდები, მართლა გავგიჟდები  
 ბიჭი - (კაცს) თქვენ სხვა გასართობი ვერაფერი ნახეთ?! სხვა, დასაცინი  
 ვერაფერს აღმოაჩინეთ?!  
 კაცი - როგორ გეკადრებათ, დაცინვა არც მიფიქრია  
 ბიჭი - (გაბრაზებული) ვინ ბრძანდებით და რა გნებაეთ?!  
 კაცი - სიმართლე გითხრათ, არ ვაპირებდი ჩემი ვინაობის გამხელას, მაგრამ  
 ვითვალისწინებ თქვენს მდგომარეობას და მიუხედავად იმისა, რომ იქ (ხევით  
 აიშვერს ხელს) ამის გამო, შეიძლება საყვედურიც მითხრან, ტქვენს  
 ცნობისმოყვარეობას, ნაწილობრივ მაინც დავაკმაყოფილებ ... (მამაკაცი იხდის  
 მოსასხამს)  
 ბიჭი - რას აკეთებს?  
 გოგო - ვაიმე!  
 ბიჭი - (შეშინებული) მითხარით რა ხდება  
 გოგო - ვაიმე  
 ბიჭი - თქვით რა ხება  
 გოგო - მას ფრთები აქვს ...  
 ბიჭი - რამდენჯერმე გთხოვეთ  
 გოგო - დედას გეფიცვებით, არ ვხუმრობ ...  
 ბიჭი - რა ფრთები  
 გოგო - ნამდვილი ფრთები  
 ბიჭი - სად?  
 გოგო - ზურგზე

ბიჭი – კარგად დააკვირდით, იქნებ გეჩვენებათ

გოგო – მართლა ფრთები აქვს

მამაკაცი – ფრთები მართლა მაქვს და ამას თქვენი მეგობარიც ადასტურებს

გოგო – (ბიჭს) მგონი ეს ანგელოზია

ბიჭი – ანგელოზი?

გოგო – ანგელოზი ... ფრთებით

მამაკაცი – (ბიჭს) თქვენ გინდოდათ გცოდნოდათ ვინ ვარ მე და მე თქვენს შეკითხვას გულწრფელად ვუპასუხე იმ მიზნით, რომ ტქვენ დამშვიდდეთ...

ბიჭი – ტქვენ ასეა ორივენი ერთად მე დამცინით და ბოროტად იყენებთ იმ ფაქტს, რომ მე დავბრმავდი და ვერაფერს ვხედავ ...

გოგო – (ბიჭს) გრცხვენოდეთ რომ ამას მეუბნებით ... მე თქვენგან ეს არ დამიმსახურებია

ბიჭი – მაშინ ჩემთვის ყველაფერი გაუგებარია და მე საერთოდ არ მესმის რა ხდება

გოგო – (ასლოს მივა ბიჭთან და ჩურჩულით ეტყვის) მე მაქვს იდეა ... ტესტირება უნდა ჩაუტაროთ

ბიჭი – რა ტესტირება

გოგო – რომ გავარკვიოთ არის თუ არა მართლა ანგელოზი

ბიჭი – როგორ?

გოგო – (მამაკაცს) ჩვენ გვსურს, რომ დამანდვილებით ვიცოდეთ, ხართ თუ არა თქვენ ანგელოზი

მამაკაცი – არ მეტყობა?

გოგო – ერთი შეხედვით გეტყობათ, მაგრამ მე ყოველთვის მასწავლიდნენ რომ პირველი შთაბეჭდილება ზოგჯერ არაზუსტია

მამაკაცი – კარგად უსწავლებიათ

გოგო – თუ თქვენ ნამდვილი ანგელოზი ხართ, ეს იმას ნიშნავს, რომ სასწაულების მოხდენაც შეუძლიათ

მამაკაცი – შემიძლია გულწრფელად გამოგიტყდეთ, რომ მე მხოლოდ მეორე კლასის ანგელოზი ვარ

გოგო – მაგრამ აქ საუბარია სულ პატარა, უბრალო სასწაულზე რომ ჩვენ საბოლოოდ დავრწმუნდეთ თქვენს ანგელოზობაში ... თუნდაც მეორე კლასის

მამაკაცი – როგორც ყოველთვის, ადამიანებს სასწაულები და ფოკუსები ერთმანეთში ერევათ. მე ანგელოზი ვარ და არა ილუზიონისტი.

გოგო – მაგრამ სასწაულების მოხდენა ანგელოზებსაც შეუძლიათ ...

ბიჭი – თუნდაც მეორე კლასის

მამაკაცი – კარგით, რამდენადაც ასე ძალიან გსურთ, მითხარით რა გავაკეთო

გოგო – (ბიჭისკენ გაიშვერს ხელს) დაუბრუნეთ მას მხედველობა და ჩვენ დავიჯერებთ, რომ ...

მამაკაცი – რომ მე ნამდვილად ანგელოზი ვარ?

გოგო – თქვენი ერთი სიტყვაც საკმარისი იქნება

მამაკაცი – ადამიანები ძალიან ხშირად ჩვენს შესაძლებლობებს, უბრალოდ აზვიადებენ

ბიჭი – (დაცინვით) გაგიჭირდებათ?

მამაკაცი – რასაკვირვებელია, ნებისმიერი, თუნდაც უბრალო და პატარა სასწაულის მოხდენა, როროგც თქვენ ამბობთ, საკმაოდ რთულია, ერთი უმნიშვნელო შეცდომა ან უზუსტობა და თვალების ასელების ნაცვლად, შეიძლება რქენი ამოგეზარდოთ ან საერთოდ რამე სხვა ცხოველად გადაიქცეთ, მაგრამ მე მაინც ვცდი, რადგან ასე ძლიერ მთხოვთ, თქვენს გამო ვცდი და ვნახოთ, რა გამოგვივა ...

გოგოგ – დიდი მადლობა

მამაკაცი – მე მჭირდება აბსოლუტური სიჩუმე, სიმშვიდე და მაქსიმალური კონცენტრაცია, ამისთვის კი აუცილებელია ღოცვა (ღოცულობს თავდახრილი თავისთვის, ჩუმად. როცა დაასრულებს ღოცვას და იტყვის „ამინ“, ჩიტების ხმაც გაისმის საიდანღაც)

ბიჭი – მე მაინც ვერაფერს ვხედავ ჯერ-ჯერობით

მამაკაცი – ნუჩქარობთ, ადამიანები მუდამ ჩქარობენ და მოთმინება კი არის უმთავრესი, რასაც ადამიანი უნდა სწავლობდეს და ესწრაფოდეს ... იყავით მშვიდად და გაუნძრევლად (მამაკაცი ხელებს თვალებზე ააფარეს)

ბიჭი – თითქოს რაღაც ვიგრძენი

გოგო – (დაიჩოქებს) ღმერთო ...

მამაკაცი – მოითმინეთ, ცოტაც მოითმინეთ, მე თქვენთვის ვლოცულობ ...

გოგო – მეც ...

ბიჭი – ვხედავ ... მგონი ვხედავ ... მე თქვენ ვხედავთ (ბიჭი წამოხტება და აღელვებული ორივეს გადაკოცნის და გულში ჩაიკრავს) მაღლობთ ... ვინც არ უნდა იყოს ... თქვენ გააკეთეთ სასწაული ... დიდი მაღლობა

მამაკაცი – არაფერს

გოგო – ეს ნამდვილი სასწაულია (გახარებული)

მამაკაცი – ეს ნამდვილი სასწაული იყო

ბიჭი – თუმცა მხედველობა ადრე თუ გვიან მაინც დამიბრუნდებოდა

მამაკაცი – დარწმუნებული ხართ?

ბიჭი – რა თქმა უნდა ... მე ხომ დროებით დავბრმავდი

მამაკაცი – ტქვენ მაინც არ გჯერათ, რომ მე ტქვენთვის საწაული მოვახდინე სულ ახლახანს, თქვენს თვალწინ?

ბიჭი – გვჯერა, როგორ არ გვჯერა ...

მამაკაცი – შემიძლია პირიქითაც მოვიტყუე: თქვენ ისევ ვერაფერს დაინახავთ, მაგრამ მართლა დაიჯერებთ რომ ანგელოზი ვარ

ბიჭი – არ არის საჭირო (შეშინებული) გთხოვთ, ნუღარ შეწუხდებით, მე თქვენი მჯერა, მჯერა რომ თქვენ ანგელოზი ბრძანდებით და ნამდვილი სასწაულების მოხდენა შეგიძლიათ ... რა ბედნიერებაა, როცა ირგველივ ყველაფერს ხედავ ...

(გოგოს) თქვენ იმაზე ლამაზი ხართ, ვიდრე წარმომედგინა (კოცნის გოგოს) მაღლობა ღმერთს, ყველაფერი ნამდვილია ... ზღვაც, მზეც, ბალახიც, ენძელებიც, კუნძულებიც ზუსტად ისეთი ზომისაა, როგორიც მეგონა ... ჰორიზონტიც... ცარიელი ჰორიზონტიც... არცერთი მაშველი გემი ... სად ეშმაკში არიან ...

მამაკაცი – (აწყვეტინებს) თქვენ უნდა იცოდეთ, რომ არის ზოგიერთი სიტყვა, რომელიც ჩემი თანდასწრებით უბრალოდ არ უდნა ახსენოთ

გოგო – აპატიტე ბატონო ანგელოზო, უბრალოდ წამოხსნა, ისეთი აღელვებულია, სიხარულისაგან ვერც კი ხვდება, რას ამბობს ...

მამაკაცი – მივეჩვიე, ადამიანთა უმადურობას უკვე მივეჩვიე ... ეს ჩემთვის არ არის პირველი შემტხვევა

ბიჭი – არა ვარ უმადური, მე ბედნიერი ვარ, ანგელოზია თუ ეშმაკი, მთავარია რომ ვხედავ, მე ისევ ყველაფერს ვხედავ

გოგო – მაგრამ ასეთი სიტყვები არ გეკადრებათ!

მამაკაცი – როცა უჭირთ, მუხლებზე დგებიან, იჩოქებენ და ღმერთს დახმარებასა და შეწევნას თხოვენ. როცა მიიღებენ, რასაც ითხოვენ, მერე ღმერთი ავიწყდებათდა ყველაფერს ბედნიერ შემთხვევას ან უცნაურ დამთხვევას აბრალებენ ...

გოგო – (ბიჭს) თქვენ აწყენინეთ ანგელოზს და ბოდიშიც უნდა მოუხადოთ

ბიჭი – ბოდიშს ვიხდით, მაპატიეთ, მაგრამ იცით, ეს რატომ დამემართა?

მამაკაცი – ვიცი

ბიჭი – უნდა გამოვოთ, ჩემი ბრალია ... მღვდლები ყოველთვის ნაკლებად მაინტერესებდა ... ანგელოზები მხოლოდ ზღაპრების გმირები მეგონა

მამაკაცი – მესმის თქვენი

ბიჭი – მაგრამ მას შემდეგ რაც მოხდა

მამაკაცი – დაიკერებთ, რომ ღმერთი არსებობს?

მამაკაცი – დავიჯერებ რომ თუ ტქვენ სასწაული მოახდინეთ, ესე იგი თქვენ მართლაც ანგელოზი ხართ და თუ ტქვენ მართლა ანგელოზი ხართ, ესე იგი ღმერთი არსებობს ... და თუ ღმერთი არსებობს, ესე იგი სიცოცხლეს მარადიულია (ადელვებუელი) თქვენ კი ნამდვილი ანგელოზი ბრძანდებით და ანგელოზები მართლა არსებობენ

მამაკაცი - დიახ, არსებობენ

ბიჭი – ადრე რატომ არ შემხვედრია არცერთი მათგანი (ეკითხება გულუბრყვილოდ)

მამაკაცი – ჩვენი დანახვა ყველას და ყოველთვის არ შეუძლია ... ჩვენ ძალიან ცოტანი გვხედავენ და ძალზე იშვიათად გვხედავენ ... ადამიანს ნათელი გული და გონება სჭირდება იმისათვის, რომ ჩვენ დაგვინახოს (ისმის ჩიტების ხმა (ალბათ ზემოდა))... ბოდიშს გიხდით, მაგრამ ჩემი წასვლის დროა ... იქ არ უყვართ, როცა ჩვენ აქ დიდხანს ვრჩებით ... მაპატიეთ, მაგრამ უნდა ავჩქარდე, დროს ისედაც გადავაცილე ...

გოგო – ასე ძალე გვტოვებთ?

მამაკაცი – რა ვქნა, ჩემზე არ არის დამოკიდებული, თორემ ტქვენთან კიდევ ცოტა ხანს, სიამობნებით დავრჩებოდი

ბიჭი – საწყენია ... მე იმდენი შეკითხვა მაქვს თქვენთან

მამაკაცი – არც მიკვირს რომ შეკითხვები გაგიჩნდათ, მაგრამ შეკითხვებით მე არ უნდა მომმართოთ

გოგო – თქვენზე უკეთ ვინ დაგვეხმარება ...

მამაკაცი – შეკითხვებით საკუთარ თავს უნდა მიმართოთ და ნებისმიერ კითხვაზე პასუხსაც ადამიანმა, თავად უნდა მიაგნოს

გოგო – თუ მან ეს ვერ შეძლო?

მამაკაცი – მთავარია, რომ ადამიანს კითხვები ჰქონდეს და პასუხებს ეძებდეს, (მამაკაცი რამდენიმე ნაბიჯს უკან გადადგამს და გაქრება. ისმის მუსიკის ხმა და ბიჭი და გოგო გაუნძრევლად დგანან. გაინძრევიათ მხოლოდ ნელა, ძალიან ფრთხილად, რაც ირეალური გარემოს გარემოს შთაბეჭდილებას ქმნის და მერე მუსიკის ხმაც ქრება) ...

ბიჭი – ანგელოზი ისევე გაქრა

გოგო – როგორც გუშინ

ბიჭი – როგორც გუშინწინ

გოგო – როგორც ყოველთვის

ბიჭი – მაგრამ დღეს მაინც სხვანაირი იყო

გოგო – დღეს სხვანაირი იყო ... ჩვენს ფერშალს ჰგავდა

ბიჭი – მგონი მართლა ჰგავდა

გოგო – აი, ვახსენეთ თუ არა, მაშინვე გამოჩნდა

ბიჭი – ალბათ ნემსების დროა

გოგო – ან წამლების

ფერშალი – (შემოდის სცენაზე თეთრი ხალათით) მთელი დღე ეზოში ხართ, საკმარიაია...

ბიჭი – ექიმმა გვითხრა, რომ ჩვენთვის ჰაერზე ყოფნა სასარგებლოა

გოგო – თანაც მთე დღე ვთამაშობდით, ჩვენი ექიმი კი ამბობს, რომ რაც მეტს და ხშირად გავერთობით და ჩვენს ავადმყოფობას დავივიწყებთ, ჩვენთვის უკეთესია

ფერშალი – დღეს რა ითამაშეთ?

ბიჭი – გემობანა

გოგო – გემობანა კი არა, ჩაძირობანა

ფერშალი – სათაურის გამო ნუ იხსუბებთ, მითხარი როგორი თამაშია და თამაშის სახელს მე გეტყვი

ბიჭი – გემით მივდიოდით სოხუმში ...

გოგო – სოხუმში კი არა გაგრაში

ფერშალი – ახლა ამაზეც ნუ იკამათებთ, მერე?

ბიჭი – შუა ზღვაში ცვენი გემი ჩაიძირა

გოგო – მხოლოდ ჩვენ გადავრჩით, ორნი – ორ პატარა კუნძულზე და მერე ისევ ის გამოჩნდა ...

ფერშალი – (აწყვეტინებს) ანგელოზი? ისევ ანგელოზი?

ბიჭი – თქვენ გგავდათ

გოგო – არ უნდა მეთქვა?

ფერშალი – ექიმს მე თვითონ დაველაპარაკები, თქვენთვის ჰაერზე ყოფნა სასარგებლოა, მაგრამ ზედმეტი არაფერი ვარგა. თქვენთვის მთავარია რომ წამლები სვათ და ნემსები გაიკეთოთ.

ბიჭი – ჩვენ ნემსებს ყოველთვის ვიკეთებთ

გოგო – წამლებსაც ყოველთვის ვსვამთ

ფერშალი- მაგრამ ყოველთვის აგვიანებთ, მკურნალობისთვის კი მთავარია ზუსტი დროის დაცვა, თქვენ კი სულ ეზოში ყოფნა გინდათ, თამაში გინდათ, ეს კი საავადმყოფოა და არა რომელიმე კურორტი...

ბიჭი – მაგალითად სოხუმი...

გოგო – ან ვთქვათ გაგრა...

ფერშალი – თუ ასე გააგრძელებთ, ჩვენ იძულებულები გავხდებით სხეებივით დაგაბათ და უფრო მკაცრ რეჟიმზე გადაგიყვანოთ

ბიჭი – მაგრამ ჩვენ ხომ გიჟები არა ვართ

გოგო – ჩვენ უბრალოდ ძალიან დაღლილები ვართ

ფერშალი – მე არ მითქვამს, რომ თქვენ გიჟები ხართ, მაგრამ თქვენ სერიოზული მკურნალობა გჭირდებათ, თქვენ გინდათ ნემსები და წამლები...

ბიჭი – (აწყვეტინებს) მე სოხუმში მინდა...

გოგო – მე გაგრაში მინდა...

ფერშალი – აი, ხომ ხედავთ, დრო გადაგიცდათ და ისევ დაიწყეთ... წამოდით, წამომყევით, თქვენს პალატებში დაბრუნდით და თუ კარგად მოიქცევით, ხვალ ისევ გამოგიშვებთ ეზოში...

ბიჭი – ხვალ ისევ ვითამაშოთ

გოგო – ისევ გემობანა?

ბიჭი – ჩაძირობანა...

(ბიჭი და გოგო ფერშალს მიყვებიან და სცენიდან გადიან)

ფარდა